**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი**

# მშობლების მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ

ნათია თოფურია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია აღმოსავეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**სამეცნიერო ხელმძღანელი: შალვა ტაბატაძე ასოცირებული პროფესორი**

**თანახელმძღვანელი: გიორგი გახელაძე ასოცირებული პროფესორი**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
თებერვალი,2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, ნათია თოფურია
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნათია თოფურიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „მშობლების მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი:_____

თანახელმძღვანელი:_____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: ნათია თოფურია

დასახელება: „მშობლების მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ“

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

# რეზიუმე

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა ,რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და სირთულეებისა სწავლის პროცესში.

მიუხედავად იმისა , რომ არ არსებობს განათლების ხარისხის ზოგადი განსაზღვრა ,კონცეფციების უმეტესობა შეიცავს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს : ჯერ ერთი ,მოსწავლეთა კოგნიტურიგანვითარება და მეორე ღირებულებებების ,დამოკიდებულების და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება.ეს ორივე ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების განვითარებას.

**თემის აქტუალობა:** იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლება 2005 წლიდან დაიწყო და ამ კუთხით მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და სამინისტრო ორიენტირებულია უფრო სრულყოფილი და ახალი პროგრამების დანერგვისკენ , მაინც არსებობს პრობლემები მშობლების დამოკიდებულებაზე. მშობლები არ ეცნობიან პროგრამეს, ამიტომ ინკლუზიური განათლების მზაობაში გვაქვს პრობლემა, ასევე პრობლემა იყო ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან, , რომ შშმ მოსწავლეები სწავლობენ მათ შვილებთან ერთად .

ამ საკითხთან დაკავშირებით არც თუ ისე ბევრი კვლევა არსებობს,ამიტომ ამ კვლევის შედეგად გამოვლინდება თუ, რა დამოკიდებულება აქვთ და რამდენად კარგად იცნობენ ინკლუზიურ განათლებას მშობლები.

საინტერესოა ბოლო წლების განმავლობაში თუ შეიცვალა ეს დამოკიდებულება და შშმმომსწავლეების მშობლების მზაობაც თუ გაიზარდა.

**კვლევის მიზანი:**შშმ მოსწავლეების მშობლები და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების დამოკიდებულების და მზაობის კვლევა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით და იმ პრობლემების გამოვლენა , რომელიც დღეს ამ საკითხთან დაკავშირბით არსებობ.

**კვლევის საგანი:** მშობლების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ და მზაობ.

**კვლევის ობიექტი:** სსიპ ქ.თბილისის N32 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეების მშობლები და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლები.N32 საჯარო სკოლაში 1806 მოსწავლეა აქედან 11 სსსმ ბავშვია.

კვლევის ჩასატარებლად შეირჩა თვისებრივი კვლევა . კერძოდ ჩაღმავებულ ინტერვიუ,დაკვირვების მეთოდი და სამაგიდე კვლევა. კვლევა ჩატარადა საჯარო სკოლის პედაგოგებთან , შეზღუდული შესაძლებლობიმქონე ბავშვების მშობლებთან და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან.სამაგიდე კვლევა განხორციელდა ორი ნაშრომის საფუძველზე,რომელიც ეხება ინკლუზიურ განათლებას , კერძოდ მშობლების დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლების მიმართ და რამდენად კარგად იციან ინკლუზიური განათლების შესახებ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა თუ რამდენად კარგად იცნობენ მშობლები ინკლუზიურ განათლებას, არსებული პრობლემები  და სამაგიდე კვლევის საფუძველზე შედარება გაკეთდა წინა წლებთან შედარებით  შეიცვალა თუ არა მშობლების  დამოკიდებულება და მზაობა ინკლუზიურ განათლებაში.

# Resume

Inclusiveeducationisanapproachthataimstoengagechildrenofallagesinthecurriculum, regardlessoftheirabilitiesanddifficultiesintheprocessoflearning.

While there is no general definition of the quality of education, most of the concepts have two important components: firstly, students' cognitive development, and secondly, values, attitudes and social responsibility. Both will promote inclusive education.

**The relevance of the theme:**Although inclusive education has started in Georgia since 2005 and the field is constantly changing and the ministry is focused on introducing more comprehensive and new programs, there are still problems with parents' attitudes. Parents are not familiar with the program, that causes problems with inclusive education.Also there was a problem with parents of children with typical development who are not for inclusive eduation.

There is not much research on this issue, so the study will reveal how parents relate to inclusive education.

It has been interesting to see if this attitude has changed in recent years and wheather the willingness of parents of students with disabilities has grown.

**The goal of the research**: Attitudes and readiness of parents of students with disabilities and parents of children with typical development for inclusive education and identifying the existing problems.

**The subject of the research**: Parents' attitude towards inclusive education and readiness.

**Object of the study**: Parents of children with disabilities and parents of children with typical development of LEPL Public School N32 in Tbilisi, Georgia.

Qualitative research was selected to conduct the study. Specifically in-depth interview, observation method and desk research. The study was held with public school teachers, parents of children with disabilities, and parents of children with typical development.

The research revealed how well parents are familiar with inclusive education. Based on the existing problems and the desk research it was possible to see how much parents' attitudes and readiness for inclusive education have changed compared with previous years.

.

# შინაარსი

შესავალი.....1

1.ლიტერატურის მიმოხილვა.....5

1.1სამაგიდე კვლევა.....9

1.2.მშობლების როლიშშმ ბავშვების განვითარებაში.....14

1.3.უცხო ქვეყნების გამოცდილება მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით ინკლუზიურ განათლებაში.....16

2.კვლევის მეთოდოგლოგია.....24

3.კვლევის შედეგები და მათი განსჯა.....26

3.1.საჯარო სკოლის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინერვიუს ანალიზი .....27

3.2.ششმ ბავშვების მშობელთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი.....30

3.3.ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობელთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი.....33

დასკვნა .....38

რეკომენდაციები.....41

გამოყენებული ლიტერატურა.....42

# შესავალი

1990 წელს იუნესკოს კონფერენცია გაიმართა ტაილანდში ,სადაც რამდენიმე ქვეყანამ შემოგვთავაზეს იდეა „ სკოლა ყველასთვის“, კერძოდ მათ სურდათ ინტეგრირება და გაფართოვება იმ სფეროში , რასაც ადრე უწოდებდნენ „სპეციალურ განათლებას“.ოთხი წლის შემდეგ სელმანაკის კონფერენციაზე ,88 ქვეყანამ მიაღწია შეთანხმებას ,რომ განათლებას უნდა ჰქონდეს ინკლუზიური ორიენტაცია ,ანუ ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,არამედ უნდა უზრუნველყოს განათლების ეფექტურობა და ეფექტიანობა, ყველა ბავშვისთვის.

ინკლუზია არის სოციალური ფენომენი, რომელიც თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში იმყოფებოდა განათლების დებატების ცენტრში , რომელმაც შექმნა და გააფართოვა ინკლუზიური მოძრაობა, რომელიც საშუალებას მისცემდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში,საზოგადოებაშიინტეგრაციაში და განათლების მიღებაში.

მაშასადამე ინკლუზიური განათლება არის პროექტი, რომელიც სამომავლოდ გვთავაზობს,უპირველეს ყოვლისა სხვადასხვ ტიპის განვითარების მქონე ბავშვების ერთად ცხოვრების და მრავალფეროვნების აღიარების შესაძლებლობას.ეს ბავშვები შექმნიან მისაწვდომ საზოგადოებას,თუმცა ეს საკამოდ რთული პროცესის შედეგია , რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ პროფესიონალებზე ,არამედ ბავშვებზე ,მასწავლებლებზე, ოჯახზე, პოლიტიკაზე ,საგანმანათლებლო მოდელებზე და ამ მოდელების შესრულებაზე..

ინკლუზიური განათლება ყურადღებას ამახვილებს ყველა მოსწავლის სხვადასხვა საჭიროებაზე და ხედავს მარავალფეროვნებას , როგორც სწავლისა და საგანამანათლებლო პროცესების შესაძლებლობას .ეს არის მშვიდობიანი და საგანამანათლებლო პროცესის ხელმისაწვდომობის წინაპირობა.ჰუმანურსაზოგადოებაში ყველას თავისი

ინდივიდუალური მახასიათებლებით ,ინტერესებით და მოთხოვნილებებით ეძლევა საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვანი სამშენებლო ბლოკია იმ საზოგადოების განვითარებისთვის , რომელშიც ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.ყველას ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა.

ეს ნაშრომი შეეხება ინკლუზიურ განათლებას,ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს,რამდენად კარგად იცნობენ ინკლუზიურ განათლებას და მიმდინაერე პროგრამებს. ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებს,რა იციან ინკლუზიური განათლების შესახებ,როგორი დამოკიდებულება აქვთ,რამდენად მომზადებულები არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან შესახვედრად და როგორ ამზადებენ საკუთარ შვილებს მათტან ურთიერთობისთვის. შეაქვთ თუ არა რაიმე წვლილი მათ დასახმარებლად და რა ევალებათ , შშმ ბავშვების განათლების მიღებაში .შეიცვალა თუ არა მათი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ.

დავიწყოთ იქიდან,რომ„საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ“,ამ კანონის გათვალისწინებით ყველას აქვს უფლება მიიღოს სრული ზოგადი განათლება ,განურჩევლად სოციალური სტატუსისა ,ეროვნებისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა.

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა ,რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში , მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და სირთულეებისა სწავლის პროცესში.

**თემის აქტუალობა:** იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლება 2005 წლიდან დაიწყო და ამ კუთხით მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და სამინისტრო ორიენტირებულია უფრო სრულყოფილი და ახალი პროგრამების დანერგვისკენ , მაინც არსებობს პრობლემები მშობლების დამოკიდებულებაზე. მშობლები არ ეცნობიან პროგრამეს, ამიტომ ინკლუზიური განათლების მზაობაში გვაქვს პრობლემა, ასევე პრობლემა იყო ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან, , რომ შშმ მოსწავლეები სწავლობენ მათ ბავშვებთან ..

ამ საკითხთან დაკავშირებით არც თუ ისე ბევრი კვლევა არსებობს,ამიტომ ამ კვლევის შედეგად გამოვლინდება თუ, რა დამოკიდებულება აქვთ და რამდენად კარგად იცნობენ ინკლუზიურ განათლებას მშობლები.

საინტერესოა აგრეთვე ბოლო წლების განმავლობაში თუ შეიცვალა ეს დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლლებლობის მქონე ბავშვების მიმართ და შშმმომსწავლეების მშობლების მზაობაც თუ გაიზარდა.

**კვლევის მიზანი:**შშმ მოსწავლეების მშობლები და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების დამოკიდებულების და მზაობის კვლევა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით და იმ პრობლემების გამოვლენა , რომელიც დღეს ამ საკითხთან დაკავშირბით არსებობ.

**კვლევის საგანი:** მშობლების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ და მზაობ.

**კვლევის ობიექტი:** სსიპ ქ.თბილისის N32 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეების მშობლები და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლები.N32 საჯარო სკოლაში 1806 მოსწავლეა აქედან 11 შშმ-სსსმ ბავშვია.

**კვლევის ჰიპოთეზა**: შეზღუდული შესაძლებლობისმქონემოზარდებისშობლების მზაობის პრობლემა ინკლუზიურ განათლებაში დღემდე არსებობს,აგრეთვე ტიპური განვითარების მქონე მოზარდების მშობლების დამოკიდებულება და მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ საკმაოდ პრობლემატური იყო წინა წლებში.დღეს ეს დამოკიდებულება შეიცვლა შშმ პირების მიმართ,თუმცა პრობლემები მაინც არსებობს.

**საკვლევი საკითხები:**

- ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების დამოკიდებულება , იმასთან მიმართებაში , რომ შშმ ბავშვები სწავლობენ მათ შვილებთან ერთად.
- რამდენად არიან განთვიცნობიერებულნი მშობლები ინკლუზიური განათლების კუთხით.

- მშობლების მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ ანუ , იციან თუ არა ინკლუზიურ განათლებაზე და რამდენად კარგად იცნობენ მიმდინარე პროგრამებს.
- რა როლი უჭირავს მშობლების დამოკიდებულება განწყობას ინკლუზიურ განათლებაში.
- რა დამოკიდებულება აქვთ და როგორ შეიცვალა ტიპური განავითარების მქონე მშობლების დამოკიდებულება განწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ.

**სტრუქტურა**:სამაგსტრო ნაშრომის სტრუქტურა იქნება შემდგენარი:

- რეზიუმე ქართულ და ინკლისურ ენაზე;
- შინაარსი
- შესავალი
- ლიტერატურის მიმოხილვა
- უცხო ქვეყნების გამოცდილება მშობლის ჩართულობასთანდაკავშირებიტთ ინკლუზიურ განათლებაში
- კვლევის მეთოდოლოგია
- სამაგიდე კვლევა
- მშობლის როლი შშმ ბავშვის განვითარებაში
- კვლევითი ნაწილი სადაც აღწერილია კვლევა და კვლევის შედეგები
- დასკვნა და რეკომენდაცია
- გამოყენებული ლიტერატუტა.

მაშასადამე ტექსტი შედგება არსებული ლიტერატურის მომიხილვით,უცხო ქვეყნებისგამოცდილებით კერძოდ აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, დანია, იტალია, რუსეთი, აფრიკა. ტექსტის ძირითადი ნაწილით,ინფრომაცია კვლევის შესახებ ,კვლევის პროცესი და მისი შედეგები.

# 1.ლიტერატურის მიმოხილვა

განათლების უფლება ყველა ადამინის ფუნდამენტალური უფლებაა.წლების განმავლობაში შშმ ბავშვებს არ შეეძლოთ ესწავლათ,თავიანთთანატოლებთან.თუმცა დღეს ეს მდგომარეობა შეიცვალა და მათ მიეცათ საშუალება მიიღონ განათლება ისე , როგორც სხვა მოსწავლეებმა, ამის უფლებას  კი საქართველოს კანონმდებლობა იძლევა.

1994 წელს სელმანაკის დეკლარაციამ და 2006 წელს გაეორსშშშ პირთა კონვენციამ მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოში ინკლუზიური განათლების პროცესისი დაწყება..2006 წლიდან ინკლუზიური განათლების დნერგვა მხოლოდ სკოლებში მიმდინარეობდა(ინკლუზიურისწავლებისხელშეწყობისპროგრამა.2009) , 2013 წლიდან  კი მისი დანერგვა პროფესიულ სასწავლებლებშიც დაიწყეს.შშმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგემა. მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროცესების გაუმჯობესება და მეტი ხელშეწყობა სსსმბაშვებისთვის, რომ ისეთივე  სრულყოფილი განათლება მიიღონ , როგორც ტიპური განვითარების მქონე ბავშვებმა.თუმცა ბევრი დაბრკოლება არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით და ერთ-ერთი ასეთია მშობლების დამოკიდებულება შშმ პირების და სსსმ ბავშვების მიმართ.ასვე მშობლების გათვითცნობიერებულობა ინკლუზიური განათლების მხრივ .(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით,ინკლუზიურისწავლებისხელშეწყობისპროგრამა.2009)

მშობლების  მზაობასთან დაკავშირებით არც თუ ისე ბევრი კვლევა არსებობს,თუმცა გამოსარჩევია რევაზ აფხაზავას,ნინო ფრუიძის და ნატალია მაჩაბლის „ინკლუზიური განათლებისადმი განწყობა- დამოკიდებულების კვლევის ანგარიში“ ,მკვლევარს თავის ნაშრომში ორი თავი აქვს დათმობილი მშობლების განწყობა-დამოკიდებულებაზე,ერთ-ერთი არისII თავი, რომელიც ეხება „მოსწავლეთა განწყობა-მშობლების განწყობა დამოკიდებულებას“ და მეორე V თავი , რომელიც ეხება „შეზრუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლთა განწყობა-დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ.მეორე თავის მიხედვით (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,29-44გვ.). მკვლევარმა კვლევა ჩაატრა სხვადასხვა სკოლებში ერთი მხრივ აირჩია ისეთი სკოლები ,

რომლებიც გამოცდილები იყვნენ ინკლუზირი განათლების მხირვ და მეორე მხრივ ისეთი სკოლები, სადაც არ ქონიათ გამოცდილება ინკლუზიური განათლების მხრივ.კვლევის შედეგი არც თუ ისე კარგი აღმოჩნდა,ისეტ სკოლებში სადაც ინკლუიურიგანატლების გამოცდილება ჰქონდათ პრობლემა არ ყოფილა შშმ ბავშვების საკარო სკოლებში სწავლებაზე, თუმცა , მეორე მხრივ სკოლებში სადაც გამოცდილება არ ყოფილა ინკლუზიური განათლების , მშობლები კატეგორიულად აცხადებდნენ , რომ მათ არ სურდათ , რომ შშმ ბავშვებს ესწავლათ მათი შვილების გვერძე,იყო ასევე შეცოდების შემთვხვევებიც.(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ. 2007, „ინკლუზიური განთლებისადმი საზოგადოების განწყობა დამოკიდებულების კვლევის ანგარიში“ , 29-44გვ).

მეხუთე თავში სადაც მკლველვარს ასევე აღწერილი აქვს თავისი კვლევა ,რომელიც ჩაატრა სხვადასხვა ტიპის დაზიანების მქონე ბავშვების მშობლებთან. (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ. 2007,71-91გვ) გამოყო ორი ფოკუს ჯგუფი ერთი მხრივ გონებრივი შეზღუდვების მქონე ბავშვების მშობლები და მეორე მხრივ ფიზიკური შეზღდვების მქონე მშობლები,რის მიხედვითაც გამოავლინა დადებითი და უარყოფითი მხარეები,მშობლებისდამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ.რესპოდენტების შერჩევა მოხდა ბავშვების შეზღუდვების მიხედვით. (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ. 2007, „ინკლუზიური განთლებისადმი საზოგადოების განწყობა დამოკიდებულების კვლევის ანგარიში“ , 71-91გვ).

ერთ-ერთ კვლევაში(სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.2016), კერძოდ „ინკლუზიური განთლების პრაქტიკა განათლებაში“ , რომელიც შესრულებულია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ 2016 წელს. უნდა აღინიშნოს , რომ საკმაოდ კარგი კვლევაა თუმცა აქაც , როგორც სხვა კვლევებში მშობლებისმზაობის საკითხი უარყოფითად შეგვიძლია შევფასაოთ. ეს კვლევა ჩატარადა რეგიონებში გორსა და მარნეულის სკოლებში და კვლევის შედეგად გამოვლინდა , რომ მშობლებმა ისიც არ იცოდნენ , რომ მათ შვილებს დახმარება ეკუთვნოდათ.(სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.2016)ძირთადპრობლმას რა თქმა უნდა სახსრები წარმოადგენს და ყველა აღნიშნავს , რომ ძალიან უჭირთ ბავშვების ტარება,რადგან სკოლამდე მისასვლელად

დიდი გზის გავლა უწევთ ტრანსპორტის თანხები კი არ გააჩნიათ.ამ კვლევაში კარგად ჩანს რეგიონში არსებული მდგომარეობა , რომელიც არც თუ ისე კარგია ინკლუზიური განთლბის განვითარებისათვის, მართალია სახელმწიფომ 2009-2011 წლებში დაგეგმილი პროექტი , რომელიც განხორციელდა ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინიტროს მხარდაჭერით კერძოდ „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს ცხრა რეგიონის საჯარო სკოლებში“, არც თუ ისე კარგად განხროციელდა , მას შემდეგ მთავრობამ კიდევ მრავალი პროექტი განახორციელა ინკლუზიურ განათლებაში თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია რადგან გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო ეს პროექტები სრულფასოვნად არ ხოეციელდება.(სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.2016 „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა განათლებაში).

„ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს ცხრა რეგიონის საჯარო სკოლებში“(ნორვეგიისგანათლებისადაკვლევისსამინისტროს მხარდაჭერით,2009-2011)ამ პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური განათლების დანრეგვა და განვითარება, თუმცა აუცილებელია ამ პროექტების მუდმივი განახლება და განვითარება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულთეტისსტუდენტრების ლია ბაღდოშვილის და მარიამ კოზოლაშვილის 2018 წლის 12 ივნისის კვლევის „მსწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში“(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018) მთავარი მიზანია მშობლებისა და მასწავლებლების არსებულიდამოკიდებულების და პრობლემების გამოვლენა. კვლევა ჩატარდა ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან , სსსმ ბავშვების მშობლებთან , მასწავლებლებთან და ფსიქოლოგთან.

(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

ძირითადადა ინტერესის საგანი იყო ნეგატიური და პოზიტიური დამოკიდებულებების გამოვლენა.

შედეგად კი გამოვლინდა შემდეგი : ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობელთა 82,9 % -ს პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ შშმ პირების მიმართ.მათ აღიქვამენ , როგორც სრლფასოვან პიროვნებას.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან არ ყოფილა ნეგატიური დამოკიდებულება შშმმოსწაბლეების მიმართ და არ აქვთ პრობლემა, რომ სსსმბავშვები სწავლობენ მათ შვილებთან ერთად , უფრო გამოიკვეთა შეცოდების ფაქტორები. პრობლემა გამოჩნდა გათვითცნობიერებულობაში. მშობლებმა ნაკლებად იცოდნენ ინკლუზიური განათლებაში მიმდინარე პროცესებზე , ინფორმაციის ნაკლებობა ზოგადად ინკლუზიურ განათლების შესახებ.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

მას შემდეგ რაც მშობლებს გააცნეს ინკლუზიური განათლების არსის შესახებ რას მოიცავდა და რას გულისხმობდა იგი ,გამოიკვეთა მშობლების სხვადასხვა აზრი , მათი უმეტესობა მიიჩნევდა , რომ შშმ ბავშვებმა უნდა ისწვლონ სპეციალიზებულ სკოლებში და არა საჯარო სკოლებში.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

რაც შეეხება შშმ ბავშვის მშობლების დამოკიდებულებას ინკლუზიურ განათლების მიმართ , რა თქმა უნდა დადებითად აფსაებენ , რადგან მიიჩნევენ , რომ ეს პროგრამა მათ ბავშზე დადებითად აისახება, პირველ რიგში კი საზოგადოებაში ინტეგრაციაში დაეხმარება. თუმცა აღნიშნავენ ,რომ საქართველოში ინკლუზიური განათლება კარგად არ არის დანეგილი, რადგან პირველ რიგში გაუმართავია ინფრასტრუქტურულად.აგრეთვე არიან მშობლები, რომლებიც ნეგატიურად არიან ამ პროგრამის მიმართ განწყობილნი , რაც გამოიხატება მათ აგრესიულობაში , რომ მის ბავშვს არც მეგობრები შეუძენია საჯარო სკოლაში და არც განსხვავებული განათლება მიუღია. (ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმმწიფო უნივერსიტეტის 2013წ პროფესორების მიერ ჩატარებული კვლევის „მშობლეთა უნივერსიტეტი ინკლუზიური განათლებისთვის“ მიზანია,მშობლებისგათვიცნობიერებულობის კვლევა ინკლუზიურ განათლებაში.(მაკარაძე,ნ.ბაკურიძე,ა.ქორიძე,მ.მიქელიძე,ნ.2013) კვლევის მეთოდად გამოყენებულია ანკეტირება , რომელიც დაურიგდა 185 მშობელს და 72 მომავალ

მშობელს.ანკეტა მოიცავდა კითხვებს ინკლუზირუ განათლებაზე და ასევე პრობლემურ სიტუაციებსაც , როგორ გადაწყვიტავდნენ გარკვეულ პრობლემას.კვლევაში ჩართულნი იყვნენ , როგორც შეზრდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები , ისე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლები . შედეგი ამ შმეთხვევაშიც არც თუ ისე კარგი აღმოჩნდეა , ტიპური განვითარების მქონე ბავშვბეის მშობლების უმეტესობა არც იცნობს ინკლუზიურ განათლებაში დანერგილ პროგრამებს , ასევე ზოგმა არც ისურვა საუბარი, მხოლოდ მცირედი რაოდენობა იყო , რომელიც გარკვეულ იყო ინკლუზიურ განათლებაში და იცოდა პრობლემურ შემთხვევაში , როგორ მოქცეულიყო , რა თქნა უნდ ასეთები აღმოჩნდნენ მხოლოდ შშმ ბავშვების მშობლები.

(მაკარაძე,ნ.ბაკურიძე,ა.ქორიძე,მ.მიქელიძე,ნ.2013)

## 1.1.სამაგიდე კვლევა

სამაგიდე კვლევა გავაკეთე ორი ლიტერატურის მიხედვით თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ ცალკე კვლევა არ ჩატარებულა მშობლების მზაობათან დაკავშირებით.

კვლევებიდან განხილული იქნა რევაზ აფხაზავას,ნინო ფრუიძის და ნატალია მაჩაბლის კვლევა „ინკლუზიური განათლებისადმი საზოგადოების განწყობა-დამოკიდებულების კვლევის ანგარიში“ და ივანე ჯავახიშვილის სოციალური და პოლიტიკის ფაკულტეტის სტუდენტების ლია ბაღდოშვილისა და მარიამ კოზოლაშვილის კვლევა „მასწავლებლებისა და მშობლეის დამოკიდებულებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში“.

ეს ორი კვლევა კარგად ასახავს მშობლების დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლების მიმართ იმ პერიოდში როდესაც ეს კვლევები ჩატარდა.

პირველი კვლევა , რომელიც ჩატარდა 2007 წელს ,საკმაოდ ფართო მაშტაბისკვლევაა,აქედან ჩვენთვის საინტერესოა ამ ანგარიშში წარმოდგგენილი ორი თავი, რომელიც ეხება მშობლების დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლების მიმართ. ერთ - ერთი თავი დათმობილია მშობლების დამოკიდებულების გამოსავლენად ინკლუზიური

განათლების მიმართ.(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,29-44გვ).გამოკითხვა ჩატარდა ორ ფოკუს ჯგუფში. ერთი მხირვ მშობლები შეარჩიეს ისეთი სკოლიდან , რომელსაც გამოცდილება ჰქონდა ინკლუზიური განათლებაში და მეორე მხრივ შეარჩიეს მშობლები ისეთი სკოლიდან , რომელსაც გამოცდილება არ ჰქონია ინკლუზიურ განათლებაში.

დადებითი შეფასება მოჰყვა ისეთი სკოლის მშობლებისგან , რომელსაც გამოცდილება ჰქონდათ ინკლუზიური განათლებაში,თუმცა მშობლები აღნიშნავენ , რომ მათ თავიდან სანამ ინკლუზიური განათლება დაინერგებოდა კარგვეული წინააღმდეგობები გააჩნდათ, თუმცა ეხლა ისინი აღარ არიან წინააღმდეგნი , რომ შშმ ბავშვმა ისწავლოს მათი შვილების გვერდით.(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,29-44გვ).

თუმცა უარყოფითი დამოკიდებულება გამოვლინდა ისეთი სკოლის მშობლებისგან , რომელსაც არ ჰქონდა გამოცდილება ინკლუზიურ განათლებაში.მშობლების თქმით მათი შვილები შშმ ბავშვების გვერდით დაიჩაგრებიან , რადგან მათ მეტი ყურადღება სჭირდებათ და სხვა ბავშვებისთის მასწავლებელს დრო არ დარჩებოდა,ამიტომ უკეთესი იქნება თუ სპეც-სკოლებში ისწავლიან შშმ ბავშვები და არა საჯარო სკოლებში სხვა ბავშვებთან ერთად.უარყოფითი დამოკიდებულებები კიდევ ბერვი გამოვლინდა , ზოგი ფიქრობს რომ  მათი ბავშვი დაიწყებს შშმ ბავშვების მიბაძვას , ასევე თუ შშმ ბავშვს კრუნჩხვა დაემართება და მათი შვილი ამას შეესწრება ღამე დაესიზმრება და შეეშინდება შემდგე, ასევე საგაკვეთილო პროცესი ყველთვის ჩაიშლება რადგან ისეთი მიდგომა , როგორიც მათ სჭირდებათ სხვა ბავშვებს დააზარალებს. (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,29-44)

ეს ყოველივე გამოწვეულია იმ ფაქტიდან , რომ მშობლებმა არ იციან ინკლუზიური განათლების შესახებ , თუ რას მოიცავს და რას გულისხმობს იგი.

შემდეგი თავი დათმობილი აქვს ინტერვიუს შშმ ბავშვების მშობლებთან, თუ რამდენად კარგად არიან ისინი ინფორმირებულები.გამოკითხვისთვის გამოიყო ორი სამიზნე  ფოკუს ჯგუფი ერთი მხრივ გონებრივი შეზღუდვების მქონე ბავშვების მშობლები და მეორე მხრივ ფიზიკური შეზღუდვების მქონე ბავშვების მშობლები.

(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91)

შშმ ბავშვები მშობლები ფლობენ ინფორმაციას ინკლუზიური განათლები შესახებ თუმცა არა სრულყოფილად, მათ იციან რომ ინკლუზიური განათლება ბავშვის საზოგადოებაში ინტეგრირებას გულისხმობს,თუმცა მათ მხოლოდ მწირი ინფრომაცია გააჩნიათ, დამათებით ინფორმაციას ფლობენ გონებრივი შეზღუდვების მქონე ბავშვების მშობლები , რომ სკოლებში დამატებით მათი შვილებისთვის იქმნება სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ შშმ ბავშვებისთვის. ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაციის წყაროს სკოლები ან ტელევიზია წარმოადგენს, ერთ-ერთმა რესპოდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მასთან სახლში მივიდნენ და აუხსნეს პროგრამების შესახებ. (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91).

გონებრივი შეზღუდვების მქონე ბავშვის მშობლები მიიჩნევენ , რომ ინკლუზიური განათლების დანერგვა დადებითად აისახება მათ ბავშვზე , რადგან მნიშვნელოვანია საზოგადობაში ინეგრირება.(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91).

ფიზიკური შეზღუდვების მქონე ბავშვის მშობლები კი მიიჩნევენ , რომ სკოლა არ არის არჭურვილი შესაბამისად , რომ ბავშვს გაუწიოს შესაბამისი მომსახურეობა, მაგალითად ბავშვს ესაჭიროება როგორც გონებრივი განვითარება ისე ფიზიკური განვითარება,მუდმივი ვარჯიშები , ამიტომ უპირატესობას სპეც-სკოლებს ანიჭებენ. (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91).

შშმ ბავშვების მშობლები მიიჩნვენ , რომ ყველაზე დიდი პრობლემა საზოგადოების მოუმზადებლობა წარმოადგენს.ასევე სკოლები არ არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი და ყოველივე ამის პრობლემას ინფორმაციის არ ცოდნა წარმოადგენს. (აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91).

სახელმწიფომ ჯერ უნდა მოამზადოს საზოგადოება , დეტალურად ახსნას თუ რას ნიშნავს ინკლუზიური განათლება და შემდეგ დაინერგოს იგი.(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91).

ამ კვლევის შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საზოგადოება არ იცნობს ინკლუზიურ განათლებას და არ არის მზად შშმ პირების საჯარო დაწესებულებებში მისაღებად . თვითინშშმ ბავშვების მშობლები არ არინ ინფორმირებულები და არ იციან

სრულად რას მოიცავს ინკლუზიური განათლება ,რაც ინკლუზიური განათლების დანერგვა-განვითარებაში დიდ პრობლემას ქმნის.

(აფხაზავა.რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.2007,71-91).

მეორე კვლევაში განხილული მშობელთა დამოკიდებულება ინკლუზიური განათლებისადმი.კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები:სიღრმისეულიინტერვიუ,დაკვირვება,მეორედ მონაცემთა ანალზი.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

ინტერვიუს შემდეგ გამოიყო თემატური ჯგუფები:

1. ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების დამოკიდებულება სსსმ პირების მიმართ.
2. ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ.
3. სსსმ ბავშვების მშობლების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ.

ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშბლებთან ჩატარებული ინტერიუს შემდეგ , გარკვეული რაოდენობის მშობელს დადებითი შეხედულება გააჩნია შშმ ბავშვების მიმართ.აღნიშნეს , რომ მათ არანაირი პრობლემა არ აქვთ , რომ მათ ბავშვებთან ერთად საწვლობენშშმბავსვებიც.თუმცა გამოიკვეთა სეცოდების ფაქტები , მაგალითად სიტყვიდან „საწყალი“ „ცოდოა“. (ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

რაც შეეხება ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმირებულობას . ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლები ნაკლებად ფლობდნენ ინფორმაციას ინკლუზიური განათლების შესახებ.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

თუმცა მშობლების მხირდან უარყოფითი დამოკიდებულებებიც გამოვლინდა , მ ფაქტში რომ შშმ ბავშვს საგაკვეთილო პროცესის დროს მეტი ყურადღება ეთმობა ვიდრე მათ შვილს.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

მას შედეგ რაც რესპოდენტებს აუხსნეს თუ რას გულისხმბდა ინკლუზიური განათლება , მშობლების უმეტესობამ აღნიშნა , რომ უკეთესი იქნება თუ შშმ ბავშვი ისწავლის სპეც-სკოლებში და არა საჯარო სკოლებში. (ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

შშმ ბავშვების მშობლები მეტად არიან გათვითცნობიერებულები ინკლუზიურ განათლებაში და იცნობენ მიმდინარე პროცესებს. მშობლების უმეტესობა დადებითად მიიჩნევს ინკლუზიური განათლების დანერგვას და მიესალმება მას. რადგან მიიჩნევენ , რომ მათი შილისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ინტეგრაცია. (ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

თუმცა გამოიკვეთა აგრეთვე უარყოფითი დამოკიდებულებები ტუნდაც იმით რომ საქართველოში არ არის სრულყოფილად დანეგილი ინკლუზიური განათლება , სკოლები არ არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით , არც მშობლები და მსაწავლებლები არიან სრილაადინფორმირებულები.ზოგიერთი მშობელი იმასაც ფიქრობს,რომ საერთოდ არ იყოს საჭირო ინკლუზიური განათლების დანერგვა.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

ეს ყოველივე უარყოფითი დამოკიდებულება გამოწვეულია მწირე ინფორმაციის ცოდნით.აუცილებელია რომ ინფორმაცია მიეწოდოს , როგორც შშმბვშვის მშობელს , ასევე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებს , რადგან უარყოფითი დამოკიდებულებები თავიდან ავიცილოთ.(ბაღდოშვილი.ლ.კოზოლაშვილი,მ. 2018)

მაშასადამე ორივე კვლევის განხილვის შემდეგ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების მოუმზადებლობა და მცირე ინფრომაციის ქონა არის მთავარი მიზეზი ყარყოფითი დამოკიდებულებისა ინკლუზიური განათლების მიმართ.თუ საზოგადოება მეთად გაიცნობს არსებულ პროგრამებს , უფრო მეტადაც ჩაერთვება ინკლუზიური განათლების განვითარებაში.ის ფაქტი რომ ჩვენს მიერ განხილული პირველი კვლევა ჩატრადა 2007 წელს , ხოლო მეორე კვლევა ჩატარდა 2018 წელს  დამოკიდეულება და ინფორმაციის ცოდნა ინკლუზიური განათლების მიმართ დიდად მაინც არ შეცვლილა.

## 1.2.მშობლების როლი ,შეზღუდული შესაძლებლობის მქონებავშვების განვითარებაში

ყველაზე ახლო წრე , რომელშიც ბავშვის სოციალიზაცია იწყება ,არის ოჯახი.ოჯახში ეყრება საფუძველი და ყალიბდება პიროვნება,მშობლებს აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა ბავშვის გაზრდაში.მშობლები არიან ის ყველაზე ახლობელი ადამიანები ვის მაგალითზეც ბავშვები იწყებენ სოციალიზაციას.

ოჯახში ბავშვს გარშემო ჰყავს ისეთი ადამიანები , რომლებიც იღებენ და უგენებ მას ისეთს , როგორიც არის , ავადმყოფს თუ ჯანმრთელს. მორჩილს თუ დაუმორჩილებელს,ან აგრესიულს.

ოჯახი სადაც იბადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი,ეს თვითონ ბავშვისთვის და მშობლისთვის არის რთული და გრძელვადიანი პროცესი შეგუებასთან და ადაპტირებასთან საზოგადოებაში.მშობლები აწყდებიან უამრავ პრობლემას .მათი შეგუება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეგვიძლია ექვს ეტაპად დავყოთ: (სანიკოვა.ვალენტინა. ა.2016)

- შოკი;
- უარყოფა;
- დანაშაულის გრძნობა და სიბრაზე;
- სირცხვილი;
- დეპრესია;
- შეგუება, მიღება.

მშობლებს უწევთ ამ ექვსი ეტაპის გადალახვა თუმცა პრობლემები ამით არ მთავრდება აუცილებელია შემდეგი ეტაპების გავლაც,როდესაც იბადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი მისთვი,აუცილებელია(სანიკოვა.ვალენტინა. ა.2016)

- არსებული მდგომარეობის გათავისება და გააზრება;

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა;
- გარდატეხის ასაკი;
- მომზადება ზრდასრული ასაკისთვის.

შეძღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას გამოყოფენ შემდეგი ტიპის მშობლებს:

1. „ზედმეტად ყურადღებიანი მშობლები“,ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებში და მოზრდილებში ზედმეტმა ყურადღებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი გაღიზიანება ,სიჯიუტე,პასიურობა,აგრესიულიქცევა.ასეთ დროს ბავშვებს სხვებთან ურთიერთობის სურვილი ეკარგებათ,უქრებათ თამაშის , უნარების განვითარების და სხვა აქტივობების განხორციელების სურვილიც.
2. „უყურადღებო მშობლები“-ისინი გაურბიან ბავშვზე ზრუნვას და ცდილობენ თავიდან აიცილონ ზედმეტი პრობლემები.დროზე ადრე აკეთებენ დასკვნებს და ფიქრობენ , რომ მათი შვილი ,ვერასდროს შეძლებს ადაპტაციას საზოგადოებაში.ყოველივე აქედან გამომდინარე ისინი ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის სრულ ჩამოყალიბებას პიროვნებად.
3. „დაბნეული მშობლები“,რომლებსაც არ შეუძლიათ მოფერება და სასოწარკვეთილებაში ვარდებიან ბავშვის მდგომარეობიდან გამომდინარე.ამ დროს არ ვითარდება მშობელსა და ბავშვს შორის ნორმალური ურთიერთობა.
4. „მკაცრი მშობლები“,ზოგიერთი მშობლები ძალიან მკაცრად ცდილობენ აღზარდონ ბავშვი, მისგან მოითხოვენ ყველაფრის შესრულებას რასაც დაავალებენ და არ ფიქრობენ ბავშვის გონებრივ თუ ფიზიკურ შეზღუდვაზე.მშობლები ამ დროს არ ფიქრობენ , რომ ასეთი დამოკიდებულება ნეგატიურად აისახება ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.(სანიკოვა.ვალენტინა. ა.2016).

მაშასადამე მშობლის როლი ბავშვის განვითარებისათვის და მომავლისთვის უპირველეს ყოვლისაა ,ამიტომ  მშობელი როდესაც ასეთი პრობლემის წინაშე დგება კარგად უნდა გაითავისოს თავისი ვალი ამ ბავშვის წინაშე და ყველანაირად შეუწყოს მის განვითარებას ხელი ყველა ეტაპზე.პირველ რიგში შეზღუდული შესაძლებლობის მქობე ბავშვისთვის აუცილებელია დამოუკიდებლობის სწავლა , ანუ მშობელმა იგი არ უნდა შეზღუდოს არც ტანსაცმლის ჩაცმაში ,მიუხედავად იმისა თუ არასწორედ ჩაიცმევს , არც მაგიდის ალაგებაში არ  უნდა შეუშალოს ხელი , მიუხედავად იმისა.რომ შეიძლება ბავშვმა ჭურჭელი დაამტვრიოს , მისცეს ყველაფრის უფლება , რომ ბავშვი მიეჩვიოს დამოუკიდებლობას.

იმ შემთვევაში თუ ბავშვი მიდის სასწავლო დაწესებულებაში,ამ დროს მშობელს ძალიან დიდი როლი აკისრია.იგი უნდა იყოს ჩართული სასწავლო პროცესში .მშობლები როგორც მნიშვნელოვანი პირები ბავშვის განვითარებაში უნდა იცნობდნენ სასწავლო გეგმას და ყველა პრაქტიკულ დავალებას , რომელსაც მასწავლებელი ატარებს , უნდა ითანამშრომლოს მასწავლებლებთან , რადგან მშობლის და სკოლის როლი პირველ ადგილას დგას ბავშვის საზოგადოებაში ადაპტაციისთვის.

## 1.3.უცხო ქვეყნების გამოცდილება მშობლების ჩართულობასთანდაკავშირებით ინკლუზიურ განათლებაში

როგორც უკვე ავღნიშნეთ მშობლის როლი , ბავშვის განვითარებისათვის ძალიან მნიშველოვანია, ამიტომ აუცილებელია მშობლის ჩართვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უკეთ განვითარებისთვის.ქვეყნები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ , რომ ინკლუზიური განათლება განვითარდეს.მშობლების ჩართულობას საგანამანათლებლოს სისტემაში მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ.

## აშშ-დიდი ბრიტანეთი

მშობელთა სწავლებაგულისხმობს მშობლების მომზადებას ინკლუზიური განათლებისთვის,სხვადასხვა ქვეყნებში მათ უტარდებათ სპეციალური ტრენინგები,სადაც დაწვრილებით ეცნობიან ინკლუზიური განათლების მიდგომებს და პროგრამებს,აგრეთვე რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მშობლებს საგანმანათლებლო სისტემაში და როგორ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ბავშვის განვითარებაში.თუმცა ასეთი სახის პროგრამები,ნაკლებად ცნობილია ზოგიერთი ქვეყნის სკოლებისთვის.ასეთ მიდგომას ძირითადად ვხვდებით ბრიტანეთის და აშშ-ს სკოლებში.(Werning,R. &Avci-Werning, M. 2015)

ბრიტანეთისა და აშშ საგანმანათლებლო სისტემის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მშობლების უნარ-ჩვევების მიზნობრივი გზით გამოყენებას ,ეხმარება მშობლის როლის უკეთესად შესრულებაში.ტარდება სპეციალური ლექციები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვეის მშობლებთან , გარდა ამ ლექციებისა ტარდება აგრეთვე შეხვედრები და ტრენინგები.ხშირად საჭიროა ინტენსიური ცალკეული დისკუსიები,ინდივიდუალური კონსულტაციები.(Werning,R. &Avci-Werning, M. 2015)

ორივე სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული ინკლუზიურ განათლებაში და ყველანაირად ცდილობენ ხელიშეუწყონ ამ პროცესს.ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს კი ამ კუთხით მშობლის ჩართულობა წარმოადგენს.რაც დიდი ბრიტანეთში და აშშ-ი წარმატებულად ხორციელდება.(Werning,R. &Avci-Werning, M. 2015)

## დანია

ამ სფეროში ისევე, როგორც სხვა ბევრს სფეროში , თუ მშობლები მხარს არ უჭერენ ინკლუზიურობას ,პროგრამა სრულყოფილი არ იქნება და წარმატებას ვერ მიაღწევს.ამიტომსკოლებისმთავარი მიზანია რაც შეიძლება მეტი მშობლის ჩართვა ინკლუზიურ განათლებაში.პირველ რიგში კი სკოლა ამას ახროციელებს ინფორმაციის მიწოდებით მშობლებისთვის ინკლუზიური განათლების შესახებ და მიმდინარე პროგრამების შესახებ. მშობლების ინფორმირებულობა ხდება სკოლის მიერ , მშობელს აქვს უფლება ჩაერთოს არსებულ პროგრამებში და ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების განვითარებას.მშობელს აქვს უფლება(ინკლუზიურობა, სკოლისა და მშობლების ჩართულობა.2014)

- დარეგისტრირდეს სპეციალურ მშობლების საიტზე ,
- მოაწყვონ შეხვედრები
- მოიწვიონ ან წამოიწყონ სპეციალური შობლების შეხვედრები ინკლუზიურ განათლების შესახებ
- იმუშაონ სხვა მშობლებთან და მასწავლებლებთანერთად და ინფორმაცია მიიღონ ყველა ბავშვზე , და თითოეული ბავშვის შეზღუდვაზე.

სკოლა უზრუნველყოფს ინფრომაციის მიწოდებას, ისინი მშობლებს აცნობენ თითოეული ბავშვის შეზღუდვის შესახებ , თუ რა არის საჭირო თითოეული შეზღუდვის დროს და რა პროგრამებით ხორციელდება ამ ბავშვებთან მუშაობა და , როგორ შეიძლება გარკვეული პრობლემის თავიდან აცილება.(ინკლუზიურობა, სკოლისა და მშობლების ჩართულობა.2014)

მშობლების აზრით განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის.ინკლუზიურობა ყველასთვისაა და არამხოლოდ ერთეულებისთვის.

„ვფიქრობ , რომ ღიაობა გაგების გასაღებია,მაგრამ ეს მოითხოვს თანამშრომლობას და ეს როგორც ინკლუზიური ბავშვის მშობელი ,მოითხოვს სამართლიან პირობებს ყველა

ბავშვისთვის და არა მხოლოდ საკუთარი ბავშვისთის.(ინკლუზიურობა, სკოლისა და მშობლების ჩართულობა.2014)

სკოლა მშობლებს ამზადებს და ინფრომაციას აწვდის :

- როგორ მუშაობს კლასი
- საჭიროა თუ არა ახალი ინიციატივების წამოწყება
- როგორ შეუძლია მშობელს წვლილი შეიტანოს ბავშვის განვითარებაში
- როგორ შეუძლია დაეხმაროს სკოლას
- არის თუ არა განსაკუთრებული საჭიროებები რომელთა მოგვარება უნდა მოხდეს  და როგორ შეუძლია ამაში მშობელს დაეხმაროს სკოლას.

მაშასადამე დანია განსაკუთერბული ყურადღებით ექცევა მშობლების ჩართულობას ინკლუზიურ განათლებაში და საგანმანათლებლო სისტემაში.(ინკლუზიურობა, სკოლისა და მშობლების ჩართულობა.2014)

## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

სამხრეთ აფრიკაში მშობლები .დაკავშირებულნი არიან ორგანიზაციასთან Inklusioninternational, რომელიც ოფიციალურად არის წარმოდგენილ საერთაშორისო ფორუმებზე, პოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც ეხება სოციალურად დაუცველ და ინკლუზიური განათლების მქონე მოსწავლეებს(გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)2014გვ.12-13). ..ისეთი ორგანიზაციები , როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები(PACSEN) და შეძღუდულოი შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინიციატორტა ჯგუფი.(DICAG)და ასოციაცია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის .შშმ პირების ორგანიზაციებთან მუშაობისას ისინი ატარებდნენ საჯარო შეხვედრებს ,სემინარებს ინკლუზიურ განათლებაზე.მობილიზაციას უკეთებდნენ ქველმოქმედებებს და ცდილობენ მხარდასაჭერად მოეზიდათ იუნესკო და

სხვა ორგანიზაციები, მათ მოიყვანეს ქვეყანაში საერთაშორისო კონსულტანტები და ფართოდ გამოიყენეს მათი უნარი პედაგოგიკაში, რაც ერთ-ერთ წინაპირობაა წარმატებული პოლიტიკის განათლების სფეროში და არა მხოლოდ. (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 2014.მშობლების, ოჯახის და საზოგადოების მონაწილეობა ინკლუზიური განათლებაში.გვ.12-13).

## რუსეთი

რუსეთის გამოკვლების მიხედვით საქართველოსთან შედარებით იქ უფრო კარგად იცნობენ მშობლები ინკლუზიურ გნათლებას ,იცნობენ მიმდინარე პროგრამებს და ცდილობენ საკუთარი ჩართულობით გააუმჯობესონ თავიანთი შვილების სოციალიზაცია და ხელი შეუწყონ მას.თუმცა გარკვეული პრობლემები აქაც არსეობობს ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებიდან 59% იცნობს ინკლუზიურ განათლებას.თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვბის მშობლები კარგად არიან გარკვეულნი ინკლუზიურ განათლებაში.(გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)2014.გვ.14-15).

მშობლები და სკოლა აქტიურად თანამშრომლობენ.ინკლუზიური განათლების სესახებ ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს სკოლა , ახალი პროგრამებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ მშობელი ინფორმირებულია, ყველანაირად.(გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 2014.მშობლების, ოჯახის და საზოგადოების მონაწილეობა ინკლუზიური განათლებაში.გვ.14-15)

## გერმანია

გერმანია აქტიურადაა ჩართული ინკლუზიური განათლების განვითარებაში, რეგულარუად ცდილობს განავითაროს და ხელი შეუწყოს ქვეყანაშ ინკლუზიური განათლების წინსვლას. (ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი 2015).

გერმანია ცდილობს სკოლები და სგანამნანათლებლო დაწესებულებები იყოს მოწესრიგებული ონკლუზირი განათლებისთვის . აგრეთვე დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლების ჩართულობას ბავშვის განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა ბავშვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მშობლებს კარგად ჰქონდთ გააზრებული თავიანთი შვილის მდგომარეობა და რა სჭირდება მას განვითარებისთვის. შემდეგ დიდი , როლს თანამშობს სკოლა და თვითონ ბავშვის შემართება და მონდომება, თუმცა დიდი მნიშვნელობაა აქვს მშობლის ჩართულობას საგანამანათლებლო პროცესებში. (ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი 2015).

სკოლები სრულ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს არსებული პროგრაების შესახებ და სიახლეების შესახებ.მშობლები , რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვის გამვითარებაში კარგად იციან ინლუზიური განათლებაში მიმდინარე პროცესებზე და აქტიურად ერთვებიან მასში.(ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი 2015).

2015 წელს მშობელთა ჩართულობის შესახებ ჩატარდა გამოკითხვა dimap და Bertelsmann ფონდების სახელით.მთავარი მიზანი იყო მშობლების ჩართულობის დადგენა ინკლუზიურ განათლებაში და რამდენად კარგად იცნობდნენ ნებისმიერი ტიპის განვითარების მქონე ბავშვების მშობლები ინკლუზიურ განათლებას და მასსი მიმდინარე პროცესებს.(ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი 2015).

გამოკითხვამ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა ШШ პირების მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით ,ისინი აქტიურად ცდილობენ ჩაერთონ თავიანდი სვილის განვიტარებაში და საზოგადოებაში ინტეგრაციაში.თუმცადანაღცენი მშობლები სკამოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ინკლუზიური განათლების მიმართ. თუმცა ორივე ტოპის მშობლები უპირატესობას მაინც ისეთ სკოლას ანიჭებენ , რომელსაც უკვე გამოცდილება აქვს ინკლუზიურ განათლებაში.(ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი2015.გვ.6).

სკოლა ცდილობს მშობლები ყავდეს ინფრომირებული ,თუ არსებობს რაიმე სახის სირთულეები მის შვილთან დაკავსირებით.სკოლა მოქმედებს მშობლების ინტერესებიდან

გამომდინარე , ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მათ მშობლებს , რომ სწავლება იყოს კომფორთული..არსებობს მშობელთა ჩართლობის აქტიური ფორმები .მაგალითად შუადღის მოვლა, სასწალოპროსესში მონაწილეობა. (ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი2015).

კვლევებმა აჩვენა ,რომ მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში მეთად ზრდის ბავშვის განვითრების დონეს.გერმანიაც ცდილობს არ ჩამორჩეს სიახლეებს და აქტიურად ცდილობს მშობლეის ჩართვას საგანამანათლებლო პროცესებში.(ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი2015.გვ.6-9).

## იტალია

2012-2013 წლებში იტალია გადავიდა სწავლების ინტეგრირებულ მეთოდზე .დაინერგა ინკლუზიური სწავლების მოდელები ,რომ ყველა ბავშვი განურჩევლად სქესისა ,ოჯახური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა უნდა იღებდეს განათლებას . (ინკლუზიური განათლება იტალიურ საგანამანათლებლო დაწესებულებებში.2019).

ინკლუზიურ განათლბასი დანერგილ სხვადასვხა პროგრამებიდან , ერთ-ერთია მშობელთა ჩართულობა ,პროგრამაში სკოლამ უნდა ჩართოს მშობელი .მშობლის ჩართვა სასწავლო პროცესში ხდება  ორი მიმართულბით საინფორმაციო მოდელი მშობლებისთვის და ტექნოლოგიური საშუალებები შეძენილი (FESR) ფონდის მიერ. (ინკლუზიური განათლება იტალიურ საგანამანათლებლო დაწესებულებებში.2019).

მშობლის ჩართულობა ეს არის საგანამანათლებლოს სისტემის ერთ-ერთი სტრატეგია , რომელიც ამცირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სისუსტეს ,არასრულფასოვნების და მარტოობის სინდრომს.(ინკლუზიური განათლება იტალიურ საგანამანათლებლო დაწესებულებებში.2019).

იტალიაში არსებული 4396 სკოლიდან 588 სკოლა ჩართულია ამ პროგრამაში და მშობლები ჩართულნი არიან საგანამანათლებლოსისტემაშ. დანარცენ სკოლებში კი ჯერ კიდევ

მიმდინარეობს დანერგვა ამ პროგრამების.(ინკლუზიური განათლება იტალიურ საგანამანათლებლო დაწესებულებებში.2019).

მშობლების სწავლება იწყება ინტერნეტ რესურსების გამოყენებით , აგრეთვე ყველა მშობელმა უნდა იცოდეს ამა თუ იმ ტიპის განვითარების მქონე ბავშვისთვის რა დახმარებაა საჭირო პრობლემის არსებობის შემთხვევაში. მაშასადამე მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია საგაკვეთილო პროცესბის შესახებ და საწავლის მეთოდების შესახებ.რათა უკეთ გაიცნონ საკუთარი შვილების და არა მხოლოდ, არამედ სხვა ბავშვების ძლიერი და სუსტი მხარეები შესახებ დავალებების შესრულებისა და სწავლების სტრატეგიისთვის.(ინკლუზიური განათლება იტალიურ საგანამანათლებლო დაწესებულებებში.2019).

# 2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე თვისებრივი კვლევა, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუ,სამაგიდეკვლევა.ინტერვიუსთვისშევადგინე კითხვარი , ინტერვიუ ჩავატარე , მასწავლებლებთან, ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან.სამივე საკვლევი ობიექტისთვის გავამზადე განსხვავებული კითხვარები, აგრეთვე გამოვიყენე დაკვირვების მეთოდი , დაკვირვების მეთოდი დამჭირდა გამეგო ზუსტი პასუხები გარკვეულ კითხვებზე , რომლებმაც დისკომფორტი გამოიწვიეს რესპოდენტებში.

დაკვირვება ჩავატარე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან.დაკვირვების მეთოდისთვის გამოყენებული იქნეა შემდეგი ხერხები:

- მონაწილის დაკვირვება;
- ღია დაკვირვება;
- დაკვირვება ბუნებრივ გარმოში;
- თვითდაკვირვება;
- უშუალო დაკვირვება;

კვლევა ჩავატარე სსიპ ქ.თბილისი N32 საჯარო სკოლაში.ამ სკოლაში სწავლობს 1806 მოსწავლე ,აქედან 11 შშმ და სსსმბავშვია,რომლებსაც აქვთ სხვადასხვა დარღვევები კერძოდ :

- I კლასში სწავლობს ერთი მოსწავლე , რომელსაც აქვს სმენის და მეტყველების პრობლემები.
- II კლასში სწავლობს ერთი მოსწავლე , რომელიც არის აუტისტი , აქვს მეტყველების და სმენის პრობლემა.
- III კლასში არის სამი მოსწავლე , რომლებსაც აქვთ გონებრივი პრობლემები და უჭირთ მასალის ათვისება,აქვტ მოსმენის და კონცენტრაციის პრობლემები.
- IV კლასში არის ერთი მოსწავლე , რომელსაც უჭირს გადაადგილება ,თუმცა ეტლი არ ჭირდება.

- VI კლასში არის ორი მოსწვალე , აქვთ სმენის და მასალის ათვისების პრობლემები.
- VIII კლასში არის ერთი მოსწავლე, რომელსაც აქვს ფიზიკური დარღვევები კუნთოვანი დისტროფია და გადაადგილდება ეტლით და აგრეთვე ინტელექტუალური დარღვევა.
- IX კლასში არის ორი მოსწავლე , ერთ-ერთს აქვს მეხსიერების პრობლემა არ შეუძლია დიდიხანსდამახსოვრება.ხოლო მეორეს აქვს დასწავლის უნარის დარღვევა.

1. კერძოდ ინტერვიუ ჩატარდა 5 დამრიგებელთან , 4 დამრიგებელმა არ ისურვა ინტერვიუს ჩატარება და 2 სპეც მასწავლებელთან.
2. შშმ ბავშვების მშობლებთან 11 მშობლიდან 9 მშობელთან ჩავატარე გამოკითხვა.
3. ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან,რომელთა შვილები სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ერთად ერთ კლასში. საკამოდ რთული აღმოჩნდა მშობლების დათანხმება ინტერვიუზე , უმეტესობამ არ ისურვა გასაუბრება და მხოლოდ 30 მშობელი დამთანხმდა ინტერვიუზე.

# 3.კვლევის შედეგები და მათი განსჯა

ამ კვლევის მთავარი მიზანიაშშმ მოსწავლეების მშობლების და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების  დამოკიდებულების  და მზაობის კვლევა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით  და იმ პრობლემების გამოვლენა , რომელიც დღეს ამ საკითხთან დაკავშირბით არსებობსN32 საჯარო სკოლის მშობლების მაგალითზე.

თავდაპირველად გამოვკითხე მასწავლებლები კერძოდ სპეცმასწავლებლები და  იმ კლასის დამრიგებლები , რომლეთა კლასშიც სწავლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პირი. საინტერესო იყო იცოდნენ თუ არა დამრიგებლებმა თავიანთ კლასში მყოფი ბავშვის ზუსტი დიაგნოზის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ თუ არა საჭირო დახმარების გაწევა,თუმცა შედეგი არც თუ ისე კარგი იყო,დამრიგებლების ნაწილი არ დამთანხმდა ინტერვიუზე. ხუთი გამოკითხული მასწავლებლიდან არცერთმა არ ზუსტი ინფრომაცია ინკლუზიურ განათლებაზე. რაც შეეხება სპეცმასწავლებლებს , ინტერვიუ ჩავატრაე ორ მასწავლებელთან  და მათ საკმაოდ კარგად იცოდნენ იკლუზიურგანატელაბაზე  და თითოეული ბავშშვისიმპტომებზე,კერძოდ რა დახმარება ესაჭირობა მას და , როგორი მიდგომა სჭირდება ბავშვს.

მასწავლებლების შემდეგ ინტერვიუ ჩავატარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან ,ძირითადად მაინტერესებდა რამდენად კარგად იცნობდნენ ინკლუზიურ განათლებას მშობლები და რაიმე სახის დისკრიმინაციას ხომ არ ყოფილა მათი შილის მიმართ. 11 მშობლიდან გამოიკითხა 9 მშობელი, მშობლების უმეტესომაბ იცის რა არის ინლუზიური განათლება , თუმცა რა პროგრამები არსებობს დაზუსტებით არ იციან. რაც შეეხება დისკრიმინაციას მსგავსი ფაქტები არ ყოფილა.მაშასადამე შეგვიძლია ვივარაუთოდ ,რომ წინა წლებდთან შედარებით ششم პირების მიმართ დამოკიდებულება გამოსწორდა.თუმცა მინდა ავღნიშნო , რომ იყო საკმოად მოკლე და კონკრეტული პასუხები ,ვრცლად საუბარი ამ თემებზე არავის არ სურდა.

მესამე ეტაპზე ინტერვიუ ჩატარდა ტიპური განვითრების მქონე ბავშვების მშობლებთან.ძირითადად საინტერესო იყო იცნობდნენ თუ არა მშობლები ინკლუზიურ განათლებას , მშობლების დიდმა რაოდენობამ უარი განაცხდა ინტერვიუზე  და მხოლოდ 30 მშობელი დამთანხმდა, თუმცა პასუხები აქაც საკმაოდ კონკრეტული იყო , მაგრამ ყველასი არა.მშობლების გამოკითხვით გამოვლინდა თუ როგორ შეიცვლა დამოკიდებულება შშმ პირები მიმართ.დამოკიდებულება ნამდვილად შეიცვალა , თუმცა ის ფაქტი,რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე სწავლობს მათიშვილების გვერდით მაინც დისკომფორტს ქმნის, ამას  კი იმით ხსნიან, რომ ასე უკეთესი იქნება არა მათი ბავშვისთვის არამედ შშმ ბავშვისთვის რადგან სპეციალიზებულ სკოლებში მეტ ყურადღებას დაუთმობენ ვიდრე საჯარო სკოლებში.

**3.1.საჯარო სკოლის პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი**

1. **შეგიძლიათ ჩამოთვალოთ ინკლუზირუ განათლებაში მიმდინარე პროგრამები ?**

   პასუხები კარგად გამცეს სპეცმასწავლებლებმა,ერთ-ერთი რესპოდენთის პასუხი :

   - “მულტი დისციპლინური გუნდის ხელშეწყობა,
   - ინტეგრირებული კლასები და მათი დაფინანსება,
   - ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

   დამრიგებლებს გაუჭირდათ ჩამოეთვალათ მიმდინარე პროგრამები,ამიტომ პასუხი გამოტოვეს.

2. **რა გაუმჯობესდა ბოლო წლების განმავლობაში?**

   პასუხი ყველასი მსგავსი იყო ,რომ გაუმჯობესდა დამოკიდებულება შშმ მოსწავლეების მიმართ,მოხდა მათისრულფასოვანი აღიარება საზოგადოებაში ,სკოლაში,კლასში.

3. **რაში ხედავთ პრობლემას?**

მასწავლებლების აზრით პრობლემას წარმოადგენს, რომ მოსწავლეებს აქვთ მცირე ინფრომაცია და აგრეთვე სახელმძღვანელოების კუთხით არსებობს პრობლემა.

4. **როგორ შეიძლება არსებული პრობლემის გადაჭრა?**

   მასწავლებლები ფიქრობენ, რომ სწორი პოლიტიკით და გაუმჯობესებული დამოიდებულებით შესაძლებელია ამ საკითხის მოგვარება, სახელმძღვანელოების მრავალფეროვნების გაზრდა და ინფრომაციის მიწოდება არ უნდა იყოს პრობლემური საკითხი.

5. **როგორ არიან ჩართულნი შშმ ბავშვების მშობლების ბავშვის განვითარებაში?**

   წინა წლებთან შედარებით, მშობლები მეტად ცდილობენ ჩაერთონ მაქსიმალურად ბავშვის განვითარებაში.

6. **რაში გიწყობენ ხელს?**

   რესპოდენტის პასუხი:„ნებისმიერი საკითხთან დაკავშირეით ,მშობლები მხარში გვიდგანან.“თუმცა , დაკონკტრეტებისგან თავი შეიკავეს.

7. **რა სახით გიჭერენ მხარეს?**

   მასწავლებლებს გაუჭირდას მსგავს კითხვაზე პასუხის გაცემა და პასუხი იყო არადამაკმაყოფილებელი . დამრიგებლებმა საერთოდ არ უპასუხეს ამ კითხვას, ხოლო სპეცმასწავლებლებმა თქვეს , რომ ყველანაირად უდგანან მშობლები მხარში ,თუმცა ვერ დააკონკრეტეს.

8. **გქონიათ თუ არა რაიმე პრობლემა შშმ პირების მშობლებთან ?**

   პასუხი ერთგავროვანი იყო პრობლემა არ ყოფილა.

9. **გქონიათ თუ არა რაიმე პრობლემა ტიპური გაბვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან შშმ ბავშვებთან დაკავშირებით?**

   ამ შემთხვევაშიც მსგავსი პრობლემები არ ყოფილა.

10. **რას ითხოვენ ძირითადად ორივე ტიპის განვითარების მქონე ბავშვების მშობლები?**

მშობლების მოთხოვნაა ზიღითადადყურადრება მასწავლებლების მხირად და საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

11. **არიან თუ არა ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლები ჩართულნი ინკლუზირიგანათლბების ხელშეწყობაში?**

ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდათ , თუმცა ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა , რომ აქტიურად ცდილობენ მშობლები ჩაერთონ,და აქვთ სწორი დამოკიდებულება.

12. **რა დამოკიდებულება აქვთ შშმ ბავშვებთან ტიპური განითარების მქონე მშობლებს ?**

ყველას პასუხი დადებითი იყო , რომ ბავშვების დამოკიდებულებებთან დაკავშირებით პრობლემეი არ ჰქონიათ და სკამოდ თბილი დამოკიდებულება აქვთ.

13. **ტიპური განვითარების მოქნე ბავშვების მშობლების დამოკიდებულებაში შშმ ბავშვების ან მშობლების მიმართ თუ შეგიმჩნევიათ რაიმე სახის პრობლემა ?**

მასწავლებლების მხრიდან ცუი დამოკიდებულება ან რაიმე სახის პრობლემა არვის შეუმჩნევია.

14. **გქონიათ თუ არა რამე განსაკუთრებული შემთხვევა რის დროსაც დარღვეულა თქვენი უფლება, როგორც სპეცმასწავლებლის ?(მშობლების მხრიდან)**

მშობლების არ უქმნიან მასწავლებლებს პრობლემებს , თუ რაიმე სახის პრობლემა იქნება , მშობლები და მასწავლებლბეი თანამშრომლობენ ერთიანად და ითვალისწინებენ ერთმანეთის თხოვნებს.

ჩატარებული ინტერვიუს მაგალითზე გამოვლინდა , რომ კლასის დამრიგებლები , რომელთა კლასშიც სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ნაკლებად არიან ინფორმირებულები ინკლუზიური განათლების კუთხით,მათ გაუჭირდათ პასუხი გაეცათ თუ რა პროგრამები არსებობს მათი მოსწავლეების სწავლების ხელშესაწყობად. იგივეს ვერ ვიტყვით სპეც-მასწავლებლებზე ,მათ კარგად იციან თუ რას გულისხმობს და რას მოიცავს ინკლუზიური განათლება, აგრეთვე

კარგად იციან თუ რა სახის დახმარება სჭირდება თითოეულ ბავშვს,კარგად ესმით ის მიდგომები და პრობლემები,რომლებიც ბავშვებს ესაჭიროებათ.

**3.2.შშმ ბავშვების მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი**

1. **რა არის ინკლუზიური განათლება?**

   შშმ ბავშვების მშობლებთან ინტერვისუ დროს პასუხები იყო საკმაოდ კონკრეტული და არა სრულ პასუხებს  იძლეოდნენ.მშობლებმა იციან , რომ ინლუზიური განათლება არის მოსწავლის ჩართულობასაგაკვეთილოპროცესში.ორმამშობლემა კი საკმაოდ მოკლედ გასცა ამ კითხვას პასუხი: „ჩართულობა“.ეს პასუხი კი შშმ ბავშვის მშობლისთვის არ უნდა იყოს საკმარისი.

2. **რა იცით ინკლუზიური განათლების შესახებ?**

   პასუხებიდან გამომდინარე შესაძლებელია ვივარაუდოთ , რომ მშობლების უმეტესობამ ბევრი არაფერი არ იცის ინკლუზიური განათლების  შესახებ,8 მშობელმა მიპასუხა რომ , იციან რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ინკლუზიური განათლება კერძოდ სკოლამდელი ინკლუზიური განათლბე, ზოგადი განათლება. დამათებიტ ორმა დაამატა, რომ არსებობს პროფესიული ინკლუზზიური განათლებაც.

3. **საიდან იგებთ ინფორმაციას(ინფორმაციის წყარო) ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პროცესებზე ან ცვლილებებზე , პროგრამებზე?**

   ძირითადი საინფორმაციო წყარო აღმოჩნდა ინტერნეტი და ტელევიზია.მხოლოდ ერთმა მშობელმა მიპასუხა , რომ ინფორმაციას აწვდის სკოლა მასწავლებლის საშუალებით.

4. **რა მომსახურებას გთავაზობთ სკოლა?**

   ყველას პასუხი იყო ერთგვარობანი , რომ სკოლა ცდილობას კარგი განათლება მისცეს ბავსვს , და ყველანაირად ეხმარებიან განათლების მირებაში.

5. **მოგწონთ თუ არა როგორც მიმდინარეობს სკოლაში სწავლება?**

სკოლაში მიმდინარე სწავლის პროცესი ყველას მოსწონს და პრეტენზიები არ გააჩნიათ.

6. **თქვენი აზრით რა არის თქვენი ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი?**

მხოლოდ სამმა შობელმა თქვა , რომ მისი ბავშვისთვის მნისვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება , დანარჩენმა ექვსმა კი უპასუხა , რომ მხოლოდ განათლება.

7. **რა პროგრამები არსებობს თქვნი აზრით თქვენი შვილის განსავითარებლად?**

სამმა მშობელმა საერთოდ არ უპასუხა ამ შეკითხვას , დანარჩენებმა კი აღნიშნეს , რომ არსებობს სხვადასხვა აქტივობები თუმცა ვერცერთმა ვერ დააკონკრეტა.

8. **რამდენად კმაყოფილი ხართ არსებული პრგოგრამებით?**

ერთმა მშობლემა არ უპასუხა ამ კითხვას , დანარჩენემა კი დადებითი შეფასება მისცეს.უფრო მეტიც მათ აღნიშნეს,რომ კმაყოფილები არიან არსებული ვითარებით და არეფრს შეცვლიდნენ.

9. **რას შეცვლიდით?**

მშობლები კმაყოფილები არიან არსებული პროგრამებით და ფიქრობენ , რომ საკმარისია ეს მატი ბავშვის განვითარებსთვის , ამიტომ ყველაფერს ისე დატოვებდნენ, როგორც არის და არაფერს არ შეცვლიდნენ.

10. **ან რას დაამატებით?**

როგორც წინა კითხვაში ავღნიშნე მშობლების კმაყოფილებიარიან არსებული პროგრამებით და არაფრს დამატება და შეცვლა არ სურთ.მხოლოდ ორმა მშობლემა დაამატა , რომ კარგი იქნებოდა თუ მშობლებისთვისაც ჩატარადებოდა ტრენინგები.

11. **თქვენი აზრით როგორ დამოკიდებულებაა კლასში თქვენი შვილის მიმართ?**

დისკრიმინაციის ფატებს მშობლები არ არნიშნავენ,პირიქით ტიპური განვითარების მქონე ბავსვების დამოკიდებულებას მოხლოდ დადებითად ახასიათებენ.

**12. როგორ ფიქრობთ საზოგაოებისმზადაა მიიღოს თქვენიბავშვი?**

ტიპური განვიტარეის მქონე ბავშვების მსობლებისგან განსხვავებით , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მსობლების ფიქრობენ , რომ საზოგადოება მზადაა მათი ბავსვისმისარებად და პრობლემები ამ საკიტხთანდაკავსირებიტ წარსულში დარჩა.

**13. ხომ არ თვლით, რომ სხვებისგან განსხვავებით თქვენი შვილი იჩაგრება?**

მშობლები დადებიტად ახასიათებენ საზოგადოების დამოკიდებულებას მათი შვილების მიმართ და მსგავსი ფაქტი მათ არ შეუმჩნევიათ.

**14. როგორ თვლით თქვენ შვილისთვის სწავლის ხარისხია მთავარი თუ საზოგადოებასთან ურთიერთობა?**

მშობლების უმეტესობა აღნიშნავს , რომ ორივე მნშვნელოვანია , თუმცა განათლებას უფრო ანიჭენებ უპირატესობას.

**15. როგორ ფიქრობთ თვენი შვილი უკეთეს განათლებას საჯარო სკოლაში მიიღებს თუ სპეც-სკოლაში?**

სპეც-სკოლებში ტარება მშობლებისთვის არ არის კომფორტული ,ასევე ძნელია მშობლისთვის ტრანსპორტის მხრივ ბავშვის სპეც-სკოლაში ტარება, ამიტომ მიიჩნევენ , რომ მათი შვილისთვის უკეთესია ისეთ საჯარო სკოლაში სიარული , რომელიც ახლოსაა ათ საცხოვრებელთან.

**16. შეიცვალა თუ არა თქვენი შვილის დამოკიდებულება ბავშვების მიმართ?**

აღნიშნავენ , რომ ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ მათი შვილის მიმართ.

**17. როგორი დამოკიდებულება აქვთ ტიპური განვითარების მქონე მშობლებს თქვენი შვილის მიმართ ? რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება ხომ არ შეგიმჩნევიათ?**

ამ კითხვაზე , პასუხი ყველას ერთგვაროვანი ჰქონდა.არანაირიგასნსხვავებული დამოკიდებულება არ

შეუმჩნევიათ.აღნიშნავენ , რომ ჩვეულებრივი დამოკიდებულება აქვთ , როგორც სხვების მიმართ.

ინტევრიუს ჩატარების პროცესში სკამოად დიდი დისკომპორტი იგრძნობოდა , რადგან თითოეული მათგანი არ იყო კმაყოფილი,რადგან კითხვები ეხებოდა მათ ცნობიერებას ინლუზიურ განათლებაში და მათ დამოკიდებულებას პროგრამის მიმართ.დაკვირვების მეთოდის პროცესში მათი ეს უკმაყოფილება საკმაოდ იგრძნობოდა,ზოგიერთი მშობლის გამომეტყველება კითხვების ცვლასთან ერთად იცვლებოდა და უკმაყოფილებას სახის შეჭმუხვნით და თვალების მაღლა ატრიალებითგამოთქვავდნენ. აგრეთვე მათი ეს  დამოკიდებულება გამოიკვეთა მოკლე და კონკრეტულ პასუხებშიც.

მაშასადამე გამოკითხვამ გვაჩვენა , რომ მშობლების მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართ კვლევ პრობლემის წინაშე დგას,რადგან მათ არ იციან დაკონკრეტებით რა სახის სწავლებას სთავაზობს პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს,მხოლოდ იციან , რომ ინლუზიური განათლება ეხმარება მათ შვილს განათლების მიღებაში და საოგადოებაშიინტერგრაციაში.

**3.3.ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან ჩატარებულიინტერვიუს ანალიზი**

1. **როგორ გესმით ინკლუზიური განათლება?**

   მშობლების უმეტესობამ იცის მიახლოებით რა არის ინკლუზიური განათლება , თუმცა სრულყოფილი პასუხი მხოლოდ ორმა გამცა ,ისიც შეხება ჰქონიათ შშმ პირებთან და რადგან დასჭირდათ ,მოუწიათ ინფრომაციისშეგროვება.დანარჩენ შემთხვევაში მშობლებმა იციან,თუმცა არა სრულყოფილად.

2. **რა იცით მის შესახებ ?**

პასუხები ერგვაროვანი იყო იციან ,რომ ინკლუზიური განათლება ეხება მოსწავლის ცართვას საგანმანათლებო პროცესში.თუმცა ზოგიერთმა მსოლემა პასუხი არ გასცა.

3. **როგორ გესმით ტერმინი „შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ ან „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე“?**

   რამოდენიმე მშობელმა იცის , რომ შშმ და სსსმ განსხვავდება და სხვადასხვა ტიპის განვიტარების ბავშვს გულისხმობს,თუმცა უმეტესობა აღნიშნავს , რომ სსსმ და შშმ ორივე შეზრუდულიშესახლებლობების მქონე პირები არიან.

4. **იცით თუ არა , რომ სსსმ ბავშვებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგემა?(და არ მიჰყვება ტიპური განავითარებისმოქნე ბავშვებისთვის განკუთვნილ სასავლოგეგემას)**

   ოთხმა მშობელმა არ იცოდა იმის შესახებ , რომ სსსმ და შშმ ბავშვებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. უმეტესობამ კი აღნიშნა , რომ სმენია თუმცა დაწვრილებით არ იცის ამის სესახებ.

5. **საიდან იგებთ ინფორმაციას(ინფორმაციის წყარო) ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პროცესებზე ან ცვლილებებზე , პროფრამებზე?**

   ყველას პასუხი იყო სოციალური ქსელი და ტელევიზია.არცეთ მშობელს არ უხსენებია სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება.

6. **თქვენ როგორ მიმართავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს?**

   პასუხები იყო შემდეგნაირი :“ როგორ უნდა მივმართო ასეთ ბავშვს,როგორც ყველას სახელით“

   უმეტესობამ აღნიშნა , რომ მიმართავს სახელით , თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ ასევე ინტერვიუს დროს შშმ ბავშვს მიმართავდნენ როგორც , „არაჯამრთელი ბავშვი“ , „ასეთი ბავშვი“,“ეგეთ ბავშვს“ სხვა როგორ უნდა მივმართო რა თქმა უნდა სახელით“.

7. **როგორ ფიქრობთ უნდა სწავლობდნენ თუ არა შშმ ბავშვები ტიპური განვითარების მქონე ბავშვებისგან განცალკევებით?**

ნაწილმა მშობლბმა თქვეს , რომ ბავშვები განურჩევლად უნდა სწავლობდნენ საჯარო დაწესებულებაში და არა განცალკევებით , რომ მოხდეს მათი საზოგადოებაში ინეგრაცია, ნაწილმა მშობლებმა თქვეს რომ უკეთესი იქნებოდა თუ ცალკე -ისწავლიდნენ, რადგან მეტი ყურადრება დაეთმობოდა ამ შემთხვევაში მათ.

8. **თქვენი აზრთ უკეთესი იქნებოდა თუ არა შშმ ბავშვებს სპეც-სკოლებში ესწავლათ?**

წინა კითხვიდან გამომდინარე , იმის მიუხედავად, რომ მშობლების უმეტესობა მომხრეა შშმ ბავშვები სწავლობდნენ საჯარო სკოლაში ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან ერთად,ამ კითხვაზე მხოლოდ ორმა გასცა უარყოფითი პასუხი, დანარჩენების აზრით კი უკეთესი იქნება თუ სპეც-სკოლებში ისწავლიან , რადგან იქ უკეთესად მოუვლიან და უკეთეს განათლებას მიიღებენ.

9. **როგორ ფიქრობთ საზოგადოებამზადაა მიიღოს შშმბავშვები?**

ამ შემტხვევაშიც სამი მშობელი ფიქრობს , რომ მზადაა.დანაღცენი მშობლების აზრით საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ არაა მზად და ეს ყოველივე გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით.

10. **.შეიცვალა თუ არა თქვენი შვილის დამოკიდებულება შშმ ბავშვების მიმართ?**

ბავშვები გაგებით ეკიდებიან შშმ ბავშვების მდგომაორეობას , თუმცა მშობლების ნათქვამიდან გამომდინარე, მსგავსი ქცევები უფრო შეცოდებას გავს ვიდრე ბავშვის გაგებას.

მინდა აგრეთვე ავღნიშნო ერთი ფაქტი მშბლის პასუხი კითხვაზე:“დიახ რ, რადგან მისი კლასელი სწორედ ამ პრობლემით გადმოვიდა სხვა კლასიდან ,რომ იქ ვერ გაითავისეს ბავშვებმა,თურითი უნდა ამოდგომოდნენ გვერდში „ესეთ„ ბავშვს“

11. **თქვენი აზრით რა არის ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ?**

პასუხები ,როგორც ველოდი ყველასი მსგავსი იყო , მშობლები აღნიშნავენ , რომ შშმ ბავშვისთვის პირველ რიგში მნისვნელოვანი საზოგადოებასთან ურთიერთობა და შემდეგ განათლება.

12. **როგორ შეუწყობდით შშმ პირების განათლების განვითარებას და საზაოგადოებაში ადაპტირებას ხელს?**

მშობლების უმეტესობა ამბობს , რომ არ უფიქრიათ მსგავს საკითხზე და კარგი იქნებოდა თუ მეტ ინფრომაციას მიიღებდნენ ამ კუთხით.მშობლების ნაწილმა პასუხი საერთოდ არ გამცა. ნაწილმა კი თავისი მოსაზრებები დააფიქსირა მაგალითად : „შშმ პირების განათლების განვითარებისთვის და საზოგადოებაში ადაპტირებისთვის აუცილებელია ფაქტორია საზოგადოების უფრო მეტი ინფორმაციული ჩართულობა და იმ სტიგმების დაძლევა ,რაც დღემდე არსებობს ჩვენს საზოგადოებაში“.

ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან ინტერვიუს ჩატარება უფრო ადვილი აღმოჩნდა ვიდრე კლასის დამრიგებლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან.ამ შემთხვევაში მშობლების პასუხები გარკვეულ კითვებზე უფრო ვრცელი იყო და დამოკიდებულებაც განსხვავებბულიაღმოცნდა. უმეტესობამ იცოდა თუ რას ნიშნავს ინკლუზიური განტლება , თუმცა რა პროგრამებს მოიცავს იგი მათთვის ნაკლებად ცნობილია.ამის შესახებ არც არავინ აძლევს მათ ინფორმაციას,ზოგიერთმა მათგანმა ისიც არ იცოდა , რომ შშმ ბავშვებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

რაც შეეხება დაკვირვების მეთოდს, ეს მეთოდი ძირითადად გამოვიყენე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან, საკმაოდ რთული აღმოჩნდა ამ მეთოდის გამოყენება , დაკვირვების შედეგად გამოვლინდა შემდეგი : როდესაც მშობლები პასუხობდნენ მე-4-ე კითხვაზე : **იცით თუ არა , რომ სსსმ ბავშვებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგემა?(და არ მიჰყვება ტიპური განავითარებისმოქნე ბავშვებისთვის განკუთვნილ სასწავლოგეგემას),** ოთხმა მშობელმა არ იცოდა ამის შესახებ ხოლო, ორ მშობელში აღინიშნებოდა დისკომფორტის გრძნობა.მშობლის პასუხი“ არა არ

ვიცოდი ამის შესახებ , არც მსმენია,ინფორმაცია ვის უნდა მოეწოდებინა?“.ასევე**როგორ ფიქრობთ უნდა სწავლობდნენ თუ არა შშმ ბავშვები ტიპური განვითარების მქონე ბავშვებისგან განცალკევებით?** ამ კითხვაზე ,მშობლების უმეტესობა გარკვეული დრო ფიქრობდნენ , ზოგმა გადაწყვიტა რომ უნდა სწავლობდნენ ალბათ ასე უკეთესი იქნება , ზოგმაც თქვა , რომ შშმ ბავშვისთვის კარგია საზოგადოებასთან ურთიერთობა ამიტომ „ალბათ „ არა .თუმცა სახეზე ეტყობოდათ , რომ არ იცოდნენ ზუსტი პასუხი სურთად თუ არა , რომ შშმ ბავშვს ესწავლა მათი შვილების გვერდით. იგივე შემიძლია ვთქვა შემდეგ კითხვაზეც **თქვენი აზრთ უკეთესი იქნებოდა თუ არა შშმ ბავშვებს სპეც-სკოლებში ესწავლათ?** მშობლების ნაწილმა წინა კითხვაში აღნიშნა რომ შშმბავსვებს განცალკევებით არ უნდა ესწავლათ , თუმცა ამ კითხვაში უმეტესობამ , იმათმაც ვინც წინა კითხვაზე უარი განაცხადა ამჯერად დაეთანხმა , რომ „ალბათ „ უკეთესი იქნება, თავის გამართლება კი შემდგენაირად ცადეს „ უკეთესი იქნება რადგან ამდენ ბავშვებში ძნელია ყველასყურადღება მიაქციო, ასეთ ბავშვს კი მუდამ ყურადღება სჭირდება ,შესაბამისად სპეც-სკოლებში მათ უკეთესად მიხედავენ.

# დასკვნა

საქართველოში და არა მარტო საქართველოში ,არამედ მთელ მსოფლიოში , მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ინკლუზიური განათლება.სხვადასხვაქვეყნები სხვადასხვა მიდგომებით და ხერხებით ცდილობენ აქტიურად დანერგონ ინკლუზიური განათლება და ის პროგრამები , რომელიც ხელს უწყობს შშმ ბავშვის განვითარებას.ზოგიერთი ქვეყანა აქტიურადაა ჩაბმული ამ საკითში და სხვადასხვა პროგრამების დანერგვით აუმჯობესებს საგანამანათლებლოსისტემას,თუმცა ზოგიერთ ქვეყანას უბრალოდ რესურსი არ გააჩნია ამისთვის. საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების განვითარება, თუმცა მცირე რესურსების გამო ეს პროცესი ძალიან დიდიხანსგრძელდება.ძალიან ბევრი გაკეთდა ინკლუზიური განათლების დასანერგად , თუმცა სრულყოფისათვის ჯერ კიდევ ბერვი პრობლემაა მოსაგვარბელი.

ჩემი კვლევა შეეხო მშობლების ჩართულობას და მზაობას ინკლუზიურ განათლებაში, თუ რამდენად კარგად იცნობენ მშობლები ინკლუზიურ განათლებას და რამდენად არიან ჩართულნი მასში.ჩემთვის საინტერესო იყო , როგორც შეზღუდული შესაძლებლობები მქონე მშობლების აზრი , ასევე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების აზრი.კვლევა ჩავატარე გამოკითხვით და მინდოდა შემედარებინა წინა წლებში ჩატარებულ კვლევებისთვის , თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ არც თუ ისე ბევრი კვლევა არსებობს მშობლების მზაობასთანდაკავშირებით,შესაბამისად ველოდი უკეთეს შედეგებს ვიდრე მივიღე.მინდა ავღნიშნო , რომ 2007 წლიდან მოყოლებული ბევრი არაფერი შეცვლილა მშობლების ჩართულობასთან და დამოკიდებულებებთან დაკავშირებით.ალბათ ეს ყოველივე გამოწვეულია პროგრამების ნაკლებობით , რომელიც დაეხმარებოდა მშობელს უკეთ გასცნობოდა ინკლუზიურ განათლებას და აქტიურად ჩართულიყვნენ მასში.

კვლევა ჩავატარე შეზრუდული შესაძლებლობების მქონე მშობლებთან,ტიპურიგანვითარების მქონე მშობლებთან და მასწავლებლებთან , როგორც

სპეცმასწავლებლებთან ,ისე კლასის დამრიგებლებთან.ჩემდა გასაკვირად ძალიან ბევრმა მშობელმა და ასევე მასწავლებელმაც უარი თქვა ინტერვიუზე.

მასწავლებლების გამოკითხვის შემდეგ გამოვლინდა,რომ დამრიგებლებმა ნაკლებად იციან თავიანთ კალსში მჯდომი მოსწავლის საჭიროებების შესახებ და საერთოდ გაუჭირდათ ესაუბრათ ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. რაც შეეხება სპეციალურ პედაგოგებს,მათკარაგდ იციან რა არის ინკლუზიური განათლება და რას გვთავაზობს ის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების გამოკითხვის შედეგად,გამოვლინდა ,რომ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა მშობლების ჩართულობა ინკლუზიურ განათლებაში ,თუმცა მზაობის სკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.მშობლები ამჯობინებენ , რომ მათ შვილმა ისწავლონ საჯარო სკოლაში,ეს უფრო პრიორიტეტულია მათთვის. რადგან მშობლების უმეტესობა მიიჩნევს,რომ საჯარო სკოლაში მეტს მიაღწევს ბავშვი ვიდრე სპეციალიზებულ სკოლაში.აგრეთვე სპეციალიზებულ სკოლაში ტარება მათთვის ხელსაყრელი არ არის.კიდევ ერთი პრობლმეაა როდესაც მშობელიი ფიქრობს , რომ შშმ ბავშვისთვის  მნშვნელოვანია მხოლოდ განათლება.მხოლოდ მშობლების ნაწილი ფიქრობს , რომ შშმ ბავშვისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა , რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არაის მზად მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თუმცა ამ საკითხს  ამ მცირედი გამოკითხვით ვერ გავსაზღვრავთ , ამისათვის აუცილებელია მაშტაბური კვლევის ჩატარება.აგრეთვე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების მხირდანაც გამოვლინდა მზაობის პრობლემა ინკლუზიურ განათლებაში.მშობლები არ არიან ინფორმირებულები სრულად ინკლუზიურ განათლებაზე, თუ რას გულისხმობს და რას მოიცავს იგი.მათ არ აქვთ პრობლემა , რომ შშმ ბავშვმა ისწავლოს მათ შვილებთან ერთად , თუმცა მაინც უმჯობესი

იქნება თუ სპეც-სკოლებში ისწავლიან, რადგან  ბავშვებს მეტი ყურადღება მიექცევა საჭიროებისამებრ.

# რეკომედაცია

- აუცილებელია , რომ სახელმწიფო ზრუნავდეს ხალხის ცნობიერების ამაღლებაზე , რადგან შშმ პირებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაცია პირველ ადგილას დგას.
- პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მშობლების გათვიცნობიერება ინკლუზიურ განათლებაში, რადგან  მშობლის ჩართულობა საგანმანათლებო სისტემაში, დადებითად აისახება ბავშვის განვითარებაზე.
- ინლუზიურ განათლებაში გათვითცნობიერება უნდა ხდებოდეს ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებისაც ,მშობლებმა უნდა იცოდნენ სხვადასხვა ტიპის განვითარების მქონე ბავშვისთვის თუ როგორი მიდგომაასაჭირო,რადგან საჭიროების შემთხვევაში შეძლოს დახმარება.
- კარგი იქნება თუ საქართველოში დაინერგება მშობლებისთვის ტრენინგ კურსები , რათა მათ იცოდნენ არა მხოლოდ საკუთარი შვლისთვის რა არის საჭირო , არამედ სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვისაც .
- როგორც კვლევამ გვიჩვენა პრობლემაა აგრეთვე საზოგადოების ცნობიერება , ანუ ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების აზრით საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი , ეს კი გამოწვეულია ნაკლები ინფორმაციის ქონით.ამიტომ აუცილებელია ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საშუალებებით.გინდაც მედიით ,ინტერნეტით,სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით , რათა ხალხმა დაინახოს,რომშშმპირებიც ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და მათი გარიყვა არ შეიძლება მხოლოდ იმიზე ფიქრით , რომ გარკვეული შეზღუდვების მქონე პირი ვერ შეძლებს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებას.
- შშმ პირების განათლების განვითარებასა და საზოგადოებაში ადაპტირებისთვის აუცილებელია სპეციალური საგანამანათლებლო პროგრამები ,ფსიქოლოგთა ჩართულობა ,ხელსაყრელი გარემო,საზოგადოებისგანმიმღებლობა,მშობელთამომზადება და ა. შ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ჭინჭარაული,თ.(2013).*ინკლუზიურიგანათლებისმაჩვენებელისაქართველოში,საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისსამინისტრო*, თბილისი,90 გვ
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (2006*),შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონცენცია ;*
3. აფხაზავა,რ.ფრუიძე,ნ.მაჩაბელი,ნ.(2007)-ინკლუზიური *განათლებისადმი საზოგადოების განწყობა-დამოკიდებულების კვლვისანგარიში.*ქ.თბილისი ,29-44გვ,71-91გვ.
4. ბაღდოშვილი,ლ. კოზოლაშვილი,მ. (2018) *მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში.*
5. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005) კონსოლიდირებულია (2019);
6. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის (2016) *„ინკლუზიური განთლების პრაქტიკა განათლებაში*";
7. სსსმმოსწავლეებისსტატისტიკურიმონაცემებირეგიონებისმიხედვით ( 2016).
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013*)ინკლუზიურიგანათლებისმაჩვენებლებისაქართველოში კვლევისანგარიში*, ქ.თბილისი,გვ 3.
9. პაჭკორია, თ. (2011). *ინკლუზიური განათლება ცნებები და ტერმინები*, თბილისი, 188 გვ.
10. საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისსამინისტრო (2016). *ინკლუზიურიზოგადიგანათლება*, თბილისი.
11. ნორვეგიისგანათლებისადაკვლევისსამინისტროს მხარდაჭერით (2009-2011)*პროექტი ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს ცხრა რეგიონის საჯარო სკოლაში.*ბოლო ნახვა 20.01.2020https://www.mes.gov.ge/content.php?id=540&lang=geo

12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N16/ნ (2018 *)-ინკლუზიური განათლების დანერგვის,განივითარების და მონიტორინგის წესების,აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცებისთაობაზე,* ქ.თბილისი.;ბოლო ნახვა.25.01.2020 http://ncp.ge/files/sasargeblo%20resursebi/wignebi/inkluziuri%20ganatlebisadmi%20sazogadoebis%20ganwyoba.pdf
13. ინკლუზიური განათლება იტალიურ საგანამანათლებლო დაწესებულებებში(2019*): რა არის და როგორ გარდაქმნება ინკლუზიური განათლება სკოლებში.*ბოლო ნახვა 02.02.2020 https://it.yestherapyhelps.com/inclusive-education-what-it-is-and-how-it-has-transformed-the-school-14526
14. გერმანიის უნესკოს კომისია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების მეცნიერებისა და კულტურისათვის(2015).ბოლო ნახვა 02.02.2020 https://www.unesco.de/bildung/inklusive-bildung
15. Werning, R. &Avci-Werning, M. (2015): *სკოლაში ჩართვის გამოწვევა და სწავლება. საფუძვლები, გამოცდილება, მოქმედების პერსპექტივები.* გერმანია, გვ 135.ბოლო ნახვა 27.01.2020: https://www.schule-inklusiv.de/blog/elternarbeit/post/elterneinbindung-in-inklusiven-schulen/
16. სკოლის გამგეობის კვლევა (2014) *ინკლუზიურობა, სკოლისა და მშობლების ჩართულობა.*დანია.ბოლო ნახვა 28.01.2020: https://www.skole-foraeldre.dk/artikel/f%C3%A5-de-andre-for%C3%A6ldre-med-i-inklusionsarbejdet ;
17. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) (2014). *მშობლების, ოჯახის და საზოგადოების მონაწილეობა ინკლუზიური განათლებაში.*რუსეთი გვ.12-15.ბოლო ნახვა 28.01.2020:

https://www.unicef.org/eca/sites/unicef.org.eca/files/Booklet%2013%20-%20Russian%20Version_0.pdf

18. ნიკოლ ჰოლენბახ-ბიელი,ულრიხ კობერი (2015), *როგორ ხედავენ მშობლები ინკლუზიას:გამოცდილება და შეფასებები ბერტელსმანისფონდი*,გერმანია, გვ.6-9.ბოლო ნახვა 02.02.2020: https://www.bertelsmann-stiftung.de/fileadmin/files/BSt/Publikationen/GrauePublikationen/IB_Studie_Elternbefragung_Inklusion_in_Deutschland.pdf
19. მაკარაძე,ნ.ბაკურიძე,ა.ქორიძე,მ.მიქელიძე,ნ.(2013) *მშობელთა უნივერსიტეტი ინკლუზიური განათლებისთვის,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნიერსიტეტი*,ქ.ბათუმი.2013.ბოლო ნახვა 24.01.2020: https://atsu.edu.ge/EJournal/HENTI2015/eJournal/Papers/MakaradzeNana.pdf ;